გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 166

2022 წლის 9 სექტემბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ოლია კახნიაშვილს შორის 2020 წლის 31 აგვისტოს გაფორმებული №16 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის №3 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის № 4 განკარგულების საფუძველზე, აუქციონის შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ოლია კახნიაშვილს შორის 2020 წლის 31 აგვისტოს გაფორმდა №16 პრივატიზაციის ხელშეკრულება იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, სუხიშვილის ქუჩის მიმდებარედ, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 616 კვ.მ; ს/კ 66.45.10.660 (ახალი ს/კ 66.45.10.706)) მყიდველი ვალდებული იყო მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში. ამავე პირობის თანახმად, მიწის ნაკვეთზე გადის ხაზობრივი ნაგებობა, შესაბამისად, ობიექტის შემძენზე გავრცელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები ხაზოვანი ნაგებობის დაცვის წესის შესახებ.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ოლია კახნიაშვილის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ შესყიდულ მიწის ნაკვეთზე აპირებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას, ქვეყანაში არსებული პანდემიის გამო, ხელი შეეშალა პროექტის განხორციელებაში და შესაბამისად - პირობის შესრულებაში. განცხადებაში აღნიშნულია ასევე, რომ პროექტი უახლოეს მომავალში შეთანხმდება გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან, რის შემდეგაც, ვინაიდან ინვესტორი და სამშენებლო კომპანია უკვე მოძიებული ჰყავს, მოკლე დროში დაიწყებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ოლია კახნიშვილი ითხოვს მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ ორი წლით, რაც, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ოლია კახნიაშვილს შორის 2020 წლის 31 აგვისტოს გაფორმებული №16 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი,

სუხიშვილის ქუჩის მიმდებარედ, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 616 კვ.მ; ს/კ 66.45.10.660 (ახალი ს/კ 66.45.10.706)) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ოლია კახნიაშვილს შორის 2020 წლის 31 აგვისტოს გაფორმებული №16 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, სუხიშვილის ქუჩის მიმდებარედ, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 616 კვ.მ; ს/კ 66.45.10.660 (ახალი ს/კ 66.45.10.706)) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე